ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს,

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგირთ მეოთხე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 14 ივნისს, მოქალაქეთა და ორგანიზაციების მომართვების საფუძველზე, განიხილა შემდეგი საკითხები:

- შშმ პირებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის განხილვა და დოკუმენტებში ზოგიერთი ტერმინის ჩანაცვლების საკითხი.
- ლუკა ასათიანის სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხები;
- საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტების რეესტრის შექმნის საკითხი;
- მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ქვეპროგრამის სახელის გადარქმევის საკითხი.

დაგეგმილი ბიუჯეტის კორექტირებისთვის დასმული საკითხები. მათ შორის:

- უცხოეთში სტუდენტთა სტაჟირების დაფინანსების საკითხი.
- ინიციატივა საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტებისათვის სტიპენდიის დაწესების შესახებ;
- ძალადობის მსხვერპლი ქალების 3 თვით ბინის უზრუნველყოფის საკითხი;
- ძალადობის მსხვერპლი არასწრულწლოვანი ბავშვებისთვის კვალიფიციური ფსიქოლოგების მომსახურების დაფინანსების საკითხი.

ბატონო არჩილ, მრჩეველთა საბჭომ საკითხები განიხილა დისკუსიის ფორმატში, მათ შორის მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან და მიზანშეწონილად მიიჩნია, მოგმართოთ თხოვნით, საბჭოს სხდომაზე დასმული საკითხები და მოსაზრებები, რომელიც სხდომის ოქმში იქნა ასახული, (წერილს თან ვურთავთ სხდომის ოქმს N 4 / 14.06.2021) გადასცეთ თქვენდამი დაქვემდებარებულ კომპეტენტურ უწყებებს, შემდგომი განხილვისთვის.

პატივისცემით,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა

16.06.2021